



გლობალური ბაზრების მიმოხილვა

გლობალური ბაზრები
პერიოდული
4 თებერვალი, 2021

- 2021 წლის იანვრის მეორე ნახევარში მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე უპრეცედენტო აქტივობა იყო საცალო ინვესტორების მხრიდან, რომლებიც Wall Street-ის მსხვილ ინვესტორებს (hedge funds) დაუპირისპირდნენ. შედეგად, GameStop-ის (ვიდეო თამაშების მაღაზიათა ქსელი აშშ-ში) აქციის ფასი იანვრის ბოლო კვირაში 400 დოლარამდე გაიზარდა, როცა წლის დასაწყისში 19 დოლარი ღირდა.


ამ აქციის ფასის მატება მას შემდეგ დაიწყო, რაც საცალო ინვესტორებმა სხვადასხვა პლატფორმების საშუალებით (Reddit) დააორგანიზეს აქციების ყიდვა იაფიანი სავაჭრო პლატფორმებით (Robinhood). ამ გარიგებით საცალო ინვესტორები დაუპირისპირდნენ მსხვილ ინვესტორებს, რომლებიც სხვადასხვა კომპანიის ფასის ვარდნას პროგნოზირებდნენ short პოზიციებით. Short-selling ნიშნავს კომპანიის აქციის ფასის ვარდნაზე ფსონის გაკეთებას, რომლის დროსაც short-seller-ები „სესხულობენ“ შერჩეული კომპანიის აქციებს, შემდეგ ყიდიან არსებულ ფასად და ელოდებიან ფასის დავარდნას რათა შემდგომ ამ აქციების იაფად გამოსყიდვა და „სესხის“ დაბრუნება. ზოგადად short-selling საკმაოდ რისკიანი ფინანსური გარიგებაა, ვინაიდან იმ შემთხვევაში თუ აქციის ფასი არ დავარდა ზარალი მასშტაბურია (და პირიქით).

21 იანვრისთვის მსხვილი ამერიკული ინვესტორების მხრიდან Gamestop-ის აქციის ფასის ვარდნაზე გაკეთებული ფსონების მოცულობამ კომპანიის სააქციო კაპიტალის 140%-ს მიაღწია. Reddit-ზე საცალო ინვესტორების კოორდინაციის შედეგად Gamestop-ის ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა, შესაბამისად გაიზარდა მსხვილი ამერიკული ინსტიტუციონალური ინვესტორების ზარალიც. სხვადასხვა წყაროს შეფასებით 2021 წლის იანვარში short-seller-ებმა თითქმის \$20 მილიარდი დაკარგეს. ამ ტალღაში მოექცა ასევე სხვა კომპანიებიც, როგორიცაა BlackBerry და AMC Entertainment. მაღალი არასტაბილურობის გამო რამდენიმე საბროკერო კომპანიამ, მათ შორის Robinhood-მა შეაჩერა GameStop-ისა და სხვა შერჩეული აქციების ყიდვა. მას შემდეგ, Gamestop-ის ფასი 60%-ით დავარდა და 2 თებერვლისთვის \$90 შეადგინა. ამჟამად ამერიკაში, სამთავრობო წრეებში განხილვებია საკითხთან დაკავშირებით.


S&P 500 (აშშ)




Dow Jones Industrial Average (აშშ)




NASDAQ (აშშ)



STOXX 600 (ევროპა)



FTSE 250 (ლონდონი)



**Emerging Markets Index
(განვითარებადი ქვეყნები)**



წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2020 წლის 29 იანვრის მდგომარეობით


- საერთო ჯამში, იანვარი ძირითადად ამერიკულმა ინდექსებმა უარყოფითი მნიშვნელობით დაასრულეს. S&P 500 იანვარში 1.1%-ით შემცირდა, ხოლო Dow Jones ინდექსი კი 2.0%-ით დაეკარგა. ევროპის ინდექსებმაც თვე შემცირებით დაასრულეს, STOXX 600 და FTSE 250 ინდექსი 2.5%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ შემცირება ძირითადად თვის მეორე ნახევარში მოხდა, რაც ფინანსურ ბაზრებზე გაზრდილ ვოლატილობას უკავშირდება.
- 2021 წლის იანვრის მეორე ნახევარში აზიური აქციების ფასები 2-3%-ის ფარგლებში შემცირდა. ჩინეთში შემცირება ცენტრალური ბანკის მხრიდან გამკაცრებულ პოლიტიკას უკავშირდება.

ნავთობი და ოქრო

- იანვრის მეორე ნახევარში ნავთობის ფასების ზრდა გაგრძელდა და თებერვლის პირველ დღეებში Brent-ის ნავთობის ფასმა 12 თვის მაქსიმუმს, ბარელზე \$57-ს მიაღწია, ხოლო WTI-ს ნავთობის ფასები ძირითადად უცვლელი დარჩა. ნავთობის ფასების ზრდას ხელს უწყობს OPEC-ის ქვეყნების მხრიდან წარმოების დაბალი მოცულობები. აღსანიშნავია, რომ საუდის არაბეთის მიერ წარმოების ნებაყოფლობით შემცირება (დღეში 1 მილიონი ბარელით) 2021 წლის თებერვლიდან დაიწყება და აპრილამდე გაგრძელდება, რაც ნავთობის ფასების სტაბილურობას შეუწყობს ხელს.
- ნავთობპროდუქტების მწარმოებელმა მსხვილმა კომპანიებმა, როგორცაა BP და ExxonMobil, ათწლეულის განმავლობაში პირველად წელი ზარალით დაასრულეს. BP-მ 2020 წელს \$5.7 მილიარდის ზარალი მიიღო, ხოლო ExxonMobil-ის ზარალმა \$22 მილიარდი შეადგინა.
- ოქროს ფასები იანვარში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 29 იანვრისთვის ტროის უნციაზე ფასმა \$1,848 შეადგინა.
- ვერცხლი კიდევ ერთი პროდუქტი აღმოჩნდა, რომელიც Reddit-ის საცალო ინვესტიორების ინტერესის საგანი გახდა. Gamestop-თან ერთად, ვერცხლის ფასმა იანვრის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა და 1-ლი თებერვლის მდგომარეობით \$30 შეადგინა (+12%), რაც 2013 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. თუმცა, მალევე, ვერცხლის ფასი მცირედით შემცირდა \$27მდე.

Volatility/მერყეობა ბაზარზე

- იანვრის მეორე ნახევარში მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე გაზრდილი ვოლატილობის პარალელურად, Cboe Volatility (მერყეობის) ინდექსი - VIX - 29 იანვრისთვის მნიშვნელოვნად გაიზარდა და 33.1-ს მიაღწია.



წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2020 წლის 29 იანვრის მდგომარეობით

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდღით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის უფროსი

ევა ბოჭორიშვილი | evabochoreshvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი

ანა ნაჭყებია | ananachkebia@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: researchgt@gt.ge